

603A 92.46



№ 42 (6603)

1980 წ. მარტი, შაბათი. ზანი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 13 აპრილიდან

პირველი სესიის 27 მარტს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 27 თებერვლის ბრძანებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მათა მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მოწვეულია მ. თბილისში 1980 წლის 27 მარტს.

● წყალბურთი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი

მარტი ცდუნების ფასი

„დინამო“ (თბილისი) — „მოსკვიჩი“ (მოსკოვი) 8:8. „დინამო“: ტყეაძე, კურტანიძე, ზუმბულიძე, რურუა, ისელიძე, არუთიუნოვი, დოლიძე. მათ გარდა თამაშობდნენ — ხეცურიაძე, გვახარია, კოლუაშვილი და კუტივაძე. „მოსკვიჩი“: შარონოვი, იანკოვი, ფომენკო, გრიგორიევი, პილოიანი, სმაგინი, შუვალოვი. მათ გარდა თამაშობდნენ — ტიხონოვი, კომოვი, იანიკი და ბელიაევი.

ტევა ჩაფუშეს. მაყურებელმა შევბოთ ამოიხუნთო — ეს უკვე ნაღვამარჯვებამს ნიშნავდა, რადგან მასპინძლები ამ მომენტისთვის ერთი ბურთით იყვნენ წინ და დარჩენილ დროში, თამაშის დათავრებამდე შეეძლოთ ბურთის ფლობა. როცა კურტანიძე მეტოქეთა კარის მისაღობებისკენ დაიძრა, მოწინააღმდეგეებს ხელის შეშლა აღარც უცდიათ — თამაშის დამთავრებამდე 34 წამილა რჩებოდა. ასე აღმოჩნდნენ ერთმანეთის პირისპირ კურტანიძე და მოსკოველთა მეკარე შარონოვი. თუ თავდასხმელი იმარჯვებდა, ხომ კარგი და, თუ მეკარე გამოიჩინდა თავს, წვითა და დავით ფაქტურად უკვე მოლოვებული გამარჯვების ბედი შესაძლოა სასწორზე შეგდებულყო, მერე კი იქნებ ყველაფერი წყალში გადაყრილიყო კიდევ. ტაქტიკური თვალსაზრისით ტყორცნას უთუოდ არტყორცნა ჯობდა. მაგრამ (დასასრული მე-8 გვ.)

შეხვედის უკანასკნელი წამები... თბილისელებმა საკუთარი კარის მისაღობებთან ბურთი ხელთ იგდეს და მოსკოველთა კონტრშე-



სურათზე: თბილისის დინამოელთა გუნდის კაპიტანს ვ. ისელიძეს პირველი ბურთი გააქვს უნივერსიტეტელთა კარში. ა. კოტორაშვილის ფოტო.

● ცურვა

პროკონს რეკორდით ბარლინიში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე 19 წლის პ. შნაიდერმა (გერმ) 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში კონტინენტის რეკორდი დაამყარა — 2:13,94. ეს მისავე აღინდელ მიღწევას წამით აღემატება და 0,28 წამით ჩამორჩება 17 წლის ტ. კოლკინსის (აშშ) მსოფლიო რეკორდს.

ლობლად მიმდინარეობს, ორი რბოლის მერე მესამე ადგილზეა საბჭოთა ოსტატი, ოლიმპიური ჩემპიონი ვ. მანკინი. ლიდერობს იტალიელი ა. ფრავეცი და მეორეა ამერიკელი ტ. ბრეკოლერი. მათ თანაბარი საჯარიმო ქულები აქვთ.

მალეოსნობა საკავშირო ვილწვიით ხარამოვი გამართულ სპორტული სკოლა-ინტერნატების საკავშირო პირველობაზე დახურულ შენობაში თბილისელმა მ. აზარაშვილმა (შუქრთნელი ი. გოზალიშვილი) შესანიშნავად იასპარეზა 200 მეტრზე რბენაში და 16-17 წლის გოგონებს შორის საკავშირო მიღწევა დაამყარა — 25,0.

საქართველოს სპორტკომიტეტმა აზარაშვილი ამ წარმატებულად სთვალა და ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა, ხოლო მის მწვერულს ი. გოზალიშვილს მადლობა გამოუცხადა.



● აზროსნობა

ჩემპიონობა

აბალი ზელანდის ქალაქ ოკლენდის მიდამოებში გაიმართა აფროსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი „ფინის“ კლასის ნავებით. ამერიკელმა კ. ლიუსმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის სახელი — ექვსი საუკეთესო რბოლის ჯამში 29,7 საჯარიმო ქულა მოაგროვა. II ადგილზეა მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონი, ამერიკელი ჯ. ბერტრანი — 34,7, ბრინჯაოს მედალი ერგო კანადელ ლ. ლემისს — 58. საბჭოთა სპორტსმენები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ. სამაგიეროდ, „გარსკვლავის“ კლასის იანტებით ასპარეზობაში, რომელიც რიო-დე-ჟანეიროს მახ-

თქვენი სვლა, პრეტენდენტებო!

დღეს თბილისსა და კისლოვოდსაში სტარტს აიღებს ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხე დღინალური მატჩები

პრეტენდენტ ქალთა მატჩები დიდი მოვლენაა ქაღრავის სამყაროში, რადგან სწორედ აქ უნდა გამოვლინდეს ის უძლიერესი მოჭადრაკე, რომელიც 1981 წელს ნოდებას შეეცილება მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს. ქალთა მსოფლიო პირველობის მიმდინარე 1978-1981 წლებში ციკლი განსაკუთრებით იზიდავს ფართო საზოგადოებას. ეს იმიტომ არის გამოწვეული, რომ რვიდან ოთხი მონაწილე ქართული საჭადრაკო სკოლის აღზრდილია. საბჭოთა ოსტატე-

ბი მუდამ შეადგენდნენ მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა უმრავლესობას, მაგრამ ისინი არასოდეს ერთი რესპუბლიკის წარმომადგენლები არ ყოფილან. ამიტომაც დღეს ბევრს ლაპარაკობენ ჩვენი მოჭადრაკე ქალების თვალსაჩინო წარმატებებზე, მათს ნიჭიერებაზე, ინტერესს ისიც ამბობენ, რომ ნ. გავრინდაშვილისა და ნ. ალექსანდრიას გვერდით პრეტენდენტობისთვის იბრძვიან ახალი თაობის წარჩინებული მოჭადრაკეები ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი.

მოხდა ისე, რომ დღეს მხოლოდ ორი მეოთხედინალური მატჩი დაიწყება. ნ. გავრინდაშვილი — ნ. გურიელის შეხვედრა გაიმართება თბილისში, ქაღრავის სასახლეში, ე. ახმელოვსკაია — ნ. ალექსანდრიას მატჩი — კისლოვოდსკის დრამატულ თეატრში. პირველი მატჩის მენეჯერის, ნ. იოსელიანის — უ. ვერცის (უნგრეთი) შეხვედრის, სტარტის დრო და მასპინძელი ჯერ უცნობია, მეოთხე მეოთხედინალური მატჩის საკი-

(დასასრული მე-2 გვ.)

● ტყვიის სროლა თბილისელი ოსტატის წარმატება

პროფილოვობაში დასრულდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა ტყვიის სროლაში. თბილისელმა სპორტის ოსტატმა ბ. კოკორევა ნებისმიერი მცირეკალიბრის პისტოლეთის 50 მეტრიდან მრველ საშიზნებზე სროლაში 561 ქულა მოაგროვა და III ადგილი დაიკავა. მასზე უკეთ გამოვიდნენ ლუშანბელი ბ. კადიროვი — 568 და მოსკოველი ა. ფილიპენკო — 563. რ. კაცოგაშვილი.

● კალათბურთი დასკვნითი აკორდი — მოსკოვში

5 მარტს მოსკოვში ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კალათბურთელთა 6 კოლექტივი იწყებს დასკვნითს პაეჭობას, რომელიც გამოავლენს მიმდინარე ჩემპიონატის პრიზიორებს. როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა უფლება მოიპოვეს ამ ექვეყნულში გამოსვლისა და მატჩებს ჩაატარებენ შემდეგი თანმიმდევრობით: 5 მარტს მოსკოვის „დინამოსთან“, 6-ში — კიევლ არმიელბთან, 7-ში — კაუნანის „უალგორისთან“, 9-ში — ლენინგრადის „სპარტაკთან“, 10 მარტს — ცხკა-სთან.

● ხალხურთი უსკანაგის უმეღვა

ჩალიაინისაში ერთდღიანი შეხვედრის შემდეგ გაგრძელდა ხელბურთელ ვაფთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურის შეხვედრები. „უნოსტის“ სპორტის სასახლეში მორიგ ტურში თბილისის „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა კრასნოდარის ფისკი — 30:28.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ცხკა — „გრანტასი“ (კაუნასი) — 31:21, „კუნცევი“ (მოსკოვი) — „კრისტალი“ (ტაშკენტი) — 26:17, მაი — ასკ (მინსკი) — 28:30, ასკ (ლოვოი) — ზიი (ზაპოროჟიე) — 23:22, „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — ასკ (კიევი) — 23:25. შემდეგ ტურში თბილისელმა მარცხი იწყენს ცხკა-სთან — 28:35. „გრანტასიმა“ მოუგო „კრისტალს“ — 33:18, კიევის ასკ-მ — ზიი-ს — 30:27, „კუნცევი“ — ლოვოის ასკ-ს — 20:18, მაი-მ — ფისკ-ს — 26:25, მინსკის ასკ-მ — „პოლიოტს“ — 22:17. გუშინ თბილისის „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა „კრისტალი“ — 36:29.



კომპავშირულ ქალაქში

კომპავშირული ქალაქი ბორის ძნელაპე. საზოგადოებრივი შენობების ბრწყინვალე არქიტექტურული ანსამბლს შერწყმული ვ. ი. ლენინის, ბ. ძნელაძის, მ. გელოვანის ძეგლები, დიდ სამამულო ომში დაღუპულ კომკავშირელთა და ახალგაზრდათა ხსოვნის მემორიალური დაფა... კარგა ხანია ეს ქალაქი კომკავშირული და ახალგაზრდული რიტუალების ადგილად იქცა. აქ მოსულთ მუდამ გულდასა და გულდასა და რესპუბლიკური კომკავშირული სკოლის მსმენელები. თელეთის ფერდობზე გაშენებული ეს ადგილი უყვართ საქართველოს სპორტსმენებსაც. ტრადიციულ იქცა საბასუხისმგებლო შეჯიბრების წინ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ასევე კომკავშირული ქალაქში. ამჟერად ამ ქალაქის სტუმრები იყვნენ სპორტულ ტანმოვარჯიშეთა და აკრობატთა ნაკრები კოლექტივები. სპორტსმენებმა ინტერესით დაათვალიერეს ქალაქის ობიექტები, სპორტული კომპლექსი. გაეცნენ კომკავშირულ

სკოლაში სასწავლო პროცესს, შემდეგ ახალგაზრდულ კაფე „სპარტაკში“ შეხვედნენ კომკავშირული სკოლის მსმენელებს. საქართველოს სპორტკომიტეტის ტანვარჯიშის განყოფილების უფროსმა ი. ოგანოვმა შეხვედრის მონაწილეებს მოუხსრო სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკი-ადაზე რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა და აკრობატთა გამოსვლის შედეგებზე, გააცნო რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობათა განვითარების პერსპექტივები. მთელ საღამოს არ შეწყვიტულა სიმღერა, ლექსები, მეგობრული საუბარი. შინსკენ მომავალი სპორტსმენები ამბობდნენ: „კიდევ როდის მოვალო აქ?“ ალბათ კიდევ მრავალჯერ გაიმართება ასეთი შეხვედრები, რადგან მათ ბევრი რამ მოაქვთ ახალგაზრდებისთვის.

მ. ჰაპაღვა.

სურათებზე: ბ. ძნელაძის ძეგლთან; სპორტსმენები ქალაქის ბაზრის ათვლიერებენ. ა. კოტორაშვილის ფოტოები.



თქვენი სვლაა, პრეტენდენტები!

დასასრული

თხი კი საერთოდ ღიადაა დარჩენილი. რაკი ა. კუმინი (ისრაელი) უარი განაცხადა თამაშზე, მისი მადევირი ტ. ლემანკოს (ბულგარეთი) მეტოქე იქნება საზონათორისო ტურნირებში მეოთხე ადგილების მფლობელების მ. ლიტინსკაიასა (სსრ კავშირი) და გ. ფიშდის (გურ) შორის მატჩში გამარჯვებული. ცნობილია, რომ ეს დამატებითი შეხვედრა მხოლოდ 20 მარტს დაიწყება ავსტრიაში. როგორც ჩანს, მეოთხე მეოთხედფინალური მატჩი მხოლოდ ამრიგად მოეწყობა...

მაშ ასე, გაფრინდაშვილი — გურიელი, ახმლოვსკაია — ალექსანდრია.

ჩვენი სასიქადულო მოქაღრაკე ნ. გაფრინდაშვილი სავსეა ბრძოლის ფინით, შემართებით. მისი მდიდარი გამოცდილება და ღრმა ერუდიცია ახალი წარმატებების წინაპირობაა. მსოფლიო ექს-ჩემპიონის ღვანლი და ამაგი ქალთა საჭადრაკო მოძრაობის სასიკეთოდ, საქვეყნოდაა ცნობილი, ამიტომ მისი შეხვედრა ქართველ მოჭადრაკეთა ახალი თაობის ერთ-ერთ უნიჭიერეს წარმომადგენელთან — ნინო გურიელთან უდიდეს ინტერესს იწვევს. თავის მხრივ გურიელი უშიშარი და მებრძოლი სულის მოჭადრაკეა. ეს კი იმის საწინდარია, რომ მატჩი მიმზიდველი იქნება.

ჩვენი სანაქებო ნ. ალექსანდრია მდიდარი ცოდნისა და გამოცდილების მქონე დიდოსტატია. მისი ელვანტური სტილი, მუდამ ინიციატივისკენ სწრაფვა ალექსანდრია და აფიქრებს მეტოქეებს და ახარებს მის გულშემატიკურებს. კრასნოიარსკელი ე. ახმლოვსკაიაც ახალი თაობის მოჭადრაკეთა საუკეთესო წარმომადგენელია. შეუპოვარმა, მამაცმა მებრძოლმა საქვეყნო აღიარება მოიხვეჭა ბოლო სამიოდე წლის მანძილზე დიდ ტურნირებში გამარჯვებით. ამიტომ ძნელი ბრძოლა მოსალოდნელი კისლოვოდსკი, რადგან ღრსეული მეტოქენი ხვდებიან ერთმანეთს.

თ. გიორგაძე.



ნონა გაფრინდაშვილი
(თბილისი, შეიარაღებული ძალები)
ფიდე-ს ინდ. კოეფ. 2375

3 მაისი 1941 წ. სპორტის ოსტატი 1958 წლიდან, საერთაშორისო ოსტატი 1961 წლიდან, სპორტის დამსახურებული ოსტატი 1964 წლიდან, საერთაშორისო დიდოსტატი 1976 წლიდან, ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატი 1962 წლიდან, ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატი 1978 წლიდან.

მსოფლიოს ხუთჯონი ჩემპიონი, ევროპის ქვეყნების თასის ორჯონი მფლობელი, სსრ კავშირის ორჯონი ჩემპიონი, ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებში ექვსჯონი გამარჯვებული. თხუთმეტზე მეტი ქალთა საერთაშორისო ტურნირის პირველი პრიზიორი.

ნ. გაფრინდაშვილის სეკუნდანტია საერთაშორისო ოსტატი ე. უბილავა (თბილისი).



ნინო გურიელი
(თბილისი, „სპარტაკი“)
ფიდე-ს ინდ. კოეფ. 2255

7 დეკემბერი 1961 წ. სპორტის ოსტატი 1976 წლიდან, საერთაშორისო ოსტატი 1978 წლიდან. 1979 წელს შეასრულა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი.

საქართველოს 1976 წლის ჩემპიონი. თბილისის 1975 წლის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი. სსრ კავშირის ქალთა 33-ე, 35-ე, 36-ე და 38-ე ჩემპიონატებში მონაწილე. ბიდგოშის (პოლონეთი) ორი საერთაშორისო ტურნირის პირველი პრიზიორი. ქალთა მსოფლიო პირველობის სსრ კავშირის ზონალურ ტურნირში გამარჯვებული და ოლიმპიადის (ესპანეთი) საზონათორისო ტურნირის III ადგილის მფლობელი.

ნ. გურიელის სეკუნდანტია ოსტატი ი. ჩიქოვანი (თბილისი).



ელენა ახმლოვსკაია
(კრასნოიარსკი, „ბურევსტნიკი“)
ფიდე-ს ინდ. კოეფ. 2315

11 მარტი 1957 წ. სპორტის ოსტატი 1975 წლიდან, საერთაშორისო ოსტატი 1976 წლიდან, საერთაშორისო დიდოსტატი 1977 წლიდან. ორჯონი, 1976 და 1979 წლებში გაიყო I-II ადგილები საზონათორისო ტურნირებში. პრეტენდენტთა მატჩებში მეორედ მონაწილეობს. 1978 წელს იყო ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებული საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში.

კრასნოიარსკელი დიდოსტატი ბევრი საერთაშორისო ტურნირის მონაწილეა. 1978 წელს იგი ნ. ალექსანდრიათან ერთად გამოდიოდა რსფსრ-ს საერთაშორისო ტურნირში, სადაც ნანასთან I-II ადგილები გაიყო.

ე. ახმლოვსკაიას სეკუნდანტია ოსტატი ბ. ლევიოშკინი (მოსკოვი).



ნანა ალექსანდრია
(თბილისი, „ბურევსტნიკი“)
ფიდე-ს ინდ. კოეფ. 2335

13 ოქტომბერი 1949 წ. სპორტის ოსტატი 1966 წლიდან, საერთაშორისო ოსტატი 1967 წლიდან, სპორტის დამსახურებული ოსტატი 1971 წლიდან, საერთაშორისო დიდოსტატი 1976 წლიდან. სსრ კავშირის სამჯონი ჩემპიონი, ევროპის ქვეყნების 1970 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი. პრეტენდენტთა მატჩებში მონაწილეობს მეოთხედ. 1975 წელს ითამაშა მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის. სამჯონი ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილე და ჩემპიონი.

მეოთხედ პრეტენდენტის საგზური მოიპოვა შარშან რიოდე-ჟანეიროს (ბრაზილია) საზონათორისო ტურნირში, სადაც III ადგილი დაიკავა.

ნ. ალექსანდრიას სეკუნდანტია საერთაშორისო ოსტატი მ. დვორეცკი (მოსკოვი).

მხოლოდ ერთხელ...

ნ. გაფრინდაშვილი და ნ. გურიელი ოფიციალურ შეჯიბრებაში ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ. ეს მოხდა 1976 წელს სსრ კავშირის ქალთა 36-ე ჩემპიონატის ფინალში, რომელიც თბილისში, ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა. პარტია მოიგო გურიელმა.

მანამდე სამჯერ...

ე. ახმლოვსკაია და ნ. ალექსანდრია დღემდე ტურნირებში სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატში (ლვოვი, 1977 წ.) გაიმარჯვა ახმლოვსკაიამ, ხოლო კისლოვოდსკის 1978 წლის საერთაშორისო ტურნირში და სსრ კავშირის ქალთა 39-ე ჩემპიონატში (თბილისი, 1979 წ.) პარტიები ყუიმით დამთავრდა.

სად, როდის, რა

- ნ. გაფრინდაშვილი — ნ. გურიელის მატჩი გაიმართება თბილისში, ჭადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. 37). მეტოქეები კვირამი ოთხ პარტია ითამაშებენ. აი, მატჩის რეგლამენტი:
- 1 მარტი — მატჩის გახსნა (დასაწყისი 19 სთ).
 - 2 მარტი — I პარტია.
 - 3 მარტი — II პარტია.
 - 4 მარტი — გადადებული პარტიების დამთავრება.
 - 5 მარტი — III პარტია.
 - 6 მარტი — IV პარტია.
 - 7 მარტი — გადადებული პარტიების დამთავრება.
 - 8 მარტი — დასვენების დღე.
 - 9 მარტი — V პარტია.
 - 10 მარტი — VI პარტია.
 - 11 მარტი — გადადებული პარტიების დამთავრება.

- რტიების დამთავრება.
- 12 მარტი — VII პარტია.
 - 13 მარტი — VIII პარტია.
 - 14 მარტი — გადადებული პარტიების დამთავრება.
 - 15 მარტი — დასვენების დღე.
 - 16 მარტი — IX პარტია.
 - 17 მარტი — გადადებული პარტიების დამთავრება.
 - 18 მარტი — X პარტია.
 - 19 მარტი — გადადებული პარტიების დამთავრება.
 - 20 მარტი — მატჩის დასრულება (19 სთ.).
- თამაშის დასაწყისი 16 ს. 30 წ. ასეთივე რეგლამენტით ჩატარდება ე. ახმლოვსკაია — ნ. ალექსანდრიას მატჩი კისლოვოდსკი, ქალაქის დრამატული თეატრის შენობაში.

ფიდე-ს დაბულაბიდან

ფიდე-ს გენერალურმა ასამბლეამ ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშების 1978-1981 წლების ციკლოს საგანგებო დებულება მიიღო. გათავაზობთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს:

მეოთხედ და ნახევარფინალურ მატჩებში გათამაშდება ათათი პარტია, ფინალურ მატჩში — თორმეტი.

გამარჯვებულად გამოცხადდება ის მოჭადრაკე, რომელიც 5,5 ან 6 ქულას (ფინალში — 6,5 ან 7) დააგროვებს. თუ ეს ქულები ერთ-ერთმა მონაწილემ პარტიების ნაკლებ რაოდენობაში მოაგროვა,

როვა, მაშინ დანარჩენი პარტიები აღარ გათამაშდება.

ყაიმის შემთხვევაში (5:5, ფინალში — 6:6) დანიშნება ორი დამატებითი პარტია, მანამდე კი წილისყრა ჩატარდება. თუ აქაც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მაშინ მეტოქენი ისევ გათამაშებენ მიკრომატჩს (ორ პარტიას) ახალი წილისყრით. თუ ამ შეხვედრაშიც ვერ დასახვლა გამარჯვებული, მაშინ უპირატესობა მიეცემა იმ მეტოქეს, რომელსაც შეაუბრებო მეტოქე მოგება აღმოაჩნდება. თუ მათი რაოდენობა თანაბარი იქნა, მაშინ გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელმაც შეაუბრებო ბოლოს მოიგო. თუ შეაუბრებო პარტია საერთოდ

არც ერთ მოჭადრაკეს არ მოუგია, მაშინ შემდეგი ეტაპის მონაწილე წილისყრით გაირჩევა.

თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს საპატიო მიზეზით სამჯერ არ გამოცხადდეს თამაშზე.

ორი და მეტი გადადებული პარტიის დაგროვების შემთხვევაში, მათი დამთავრება მოხდება იმ თანამდებობით, როგორც ეს პარტიები გადაიდო.


პარტიის თამაშის ხანგრძლივობაა 5 საათი, გადადებული პარტიისა — 6. პირველ 40 სულაზე თითოეულ მეტოქეს ეძლევა 2 საათი და 30 წუთი, მომდევნო ყოველ 16 სულაზე თითო საათი დროის დაგროვებით.

მონაწილეს, რომელიც I პარტიანე ერთ საათს დააგვიანებს, პარტია და მატჩი წაგებულად ჩაეთვლება.

მსახურობი

ნ. გაფრინდაშვილი — ნ. გურიელის მატჩის მსაჯედად ფიდე-ს მეტოქეებთან შეთანხმებით დამატებულ სამჯერ არბიტრები. მთავარი მსაჯი და ლევა აბრამოვი (მოსკოვი), საერთაშორისო არბიტრი, სსრ კავშირის საპატიო მსაჯი და სპორტის ოსტატი. ლ. აბრამოვი მსოფლიო პირველობებისა და ოლიმპიადების თითქმის უცვლელი მსაჯია. მაგალითად, იგი იყო გაფრინდაშვილი — ჩიბურდანიძის მატჩის (ბიჭვინთა, 1978 წ.) მთავარი მსაჯის მოადგილე.

მსაჯია წარსულში გამოჩენილი მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი და სპორტის დამსახურებული ოსტატი კირა ზგორიცი-ნა (მინსკი). ბოლო წლებში მინსკელი დიდოსტატი მსაჯობს დიდ ტურნირებს და მას მიღებული აქვს საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის თანრიგი. ე. ახმლოვსკაია — ნ. ალექსანდრიას მატჩის მსაჯი კოლეგიაში არიან: მთავარი მსაჯი — ცნობილი ესტონელი საერთაშორისო არბიტრი ა. ვაპუნიანი, მსაჯი — მოსკოველი საკავშირო კატეგორიის მსაჯი ბ. პოსტოვი.



გულშემატიკობანი

გულშემატიკობანი ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩების დაწყებასაც მოუთმენლად მოვლიან. ეს გასაგებია, რადგან მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვთან შეხვედრის უფლებებისთვის შემართებული უძლიერესნი იბრძვიან.

მეოთხედფინალურ მატჩს პირველნი დაიწყებენ ტ. პეტროსიანი და ვ. კორჩნოი (8 მარტს ავსტრიაში). მეორე დღეს ალმა-ათაში დაფას მიუჯდებიან მ. ტალი და ლ. პოლუგაევსკი. მესამე მატჩის სტარტი რ. პოლუგაევსკის (გურ) და ა. ადორიანს (უნგრეთი) შორის 15 მარტისთვისაა დანიშნული ბალ-ლაუტენბერგში (ავსტრია). მსაჯი — პარტი

ალაქი დასახლება

დამთავრდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებრივი ცენტრის რეკონსტრუქციის სამუშაოები

ბაჰარინაში სამ დღეს გრძელდებოდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებრივი ცენტრის რეკონსტრუქციის სამუშაოები. საბოლოოდ დასრულდა სათბილ ამ ურო სპორტში.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს გაიმართა ასპარეზობა სპეციალურ სლალომში. ამჯერად სპარტაკულემა იმარჯვეს: ვაჟებში პირველი იყო გ. ჯიბრაძე — 1.41,1 (მეორე შედეგი ჰქონდა თ. ხუციშვილი — 1.42,4, მესამე — „კოლმეურნი“ წევრს გ. ფანჯაძეს — 1.59,8), ხოლო ბიჭებში პირველი იყო მ. ჯიბრაძე — 1.41,8, მეორე — დ. ჯაფარიძე („კოლმეურნი“) — 1.44,5, მესამე — გ. ხაზარაძე („ბურვესტიცი“) — 1.49,7.

ქალთა შორის კვლავ ტოლი არ ჰყავდა სპორტის ოსტატი მ. კოხანაშვილი („კოლმეურნი“) — 1.46,2. მომდევნო ადგილებზე არიან ს. ნასყიდაშვილი („ბურვესტიცი“) — 2.05,01 და ა. ჯაფარიძე („განათილი“) — 2.56,0. გოგონებში პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: ქ. ბოკ-

რია („ბურვესტიცი“) — 2.27,4, მ. ნასყიდაშვილი („ბურვესტიცი“) — 2.35,2, ი. მისურაძე („კოლმეურნი“) — 2.37,8.

მრბოლელებმა ტრადიციულად ამანატრებენთ დამთავრეს თავიანთი გამოსვლა. ვაჟები და ქალები ერთნაირ (4X5 კმ) დისტანციებზე ასპარეზობდნენ. ორივე რბოლაში ფინიშზე პირველნი „კოლმეურნის“ მოთხილამურეები იყვნენ — შესაბამისად 1:26.10 და 1:31.37.

მხტომელები ისევ 40-მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობდნენ. პირველ დღეს გამოვლენილი სამეულები ამჯერადაც უცვლელი დარჩა: ვაჟებში — მ. ბაკაევი („კოლმეურნი“) — 224,4 ქულა (ხტომები — 49 და 45 მეტრი), ვ. ხუბაძე („კოლმეურნი“) — 199,2 (43,5 და 42,5), რ. გელაშვილი („განათილი“) — 164,4 (ორივეჯერ — 37), ბიჭებში — გ. გაგლოშვილი („კოლმეურნი“) — 181,2 (41 და 40), რ. ხარებაშვილი („კოლმეურნი“) — 180,7 (39,5 და 41,5), ვ. ფილიშვილი („სპარ-



ტაკი“) — 132 (31 და 32). გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული „კოლმეურნი“ — 1024 ქულა, მეორეა „ბურვესტიცი“ — 417, მესამე — „განათილი“ — 354, მეოთხე — „სპარტაკი“ — 136, მეხუთე — „ვოლნიკი“ — 91.

ტელეფონით, „ღელვოს“ სპეცკორ.

სურათზე: ტრამპლინიდან ხტომში გამარჯვებული მ. ბაკაევი.

მეგობართა სამატრიონი

კიდევ ერთ საინტერესო ასპარეზობას ჩაეყარა საფუძველი ბაკურიანში: აქ ორ დღეს გაგრძელდა მოსკოვისა და თბილისის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა სამატრიონი შეხვედრა სამთო-სათხილამურო სპორტში.

გვიანტური და სპეციალური სლალომის სტარტებზე ორივე გუნდიდან 10-10 მონაწილე გამოვიდა (მათ შორის 5-5 ქალი). გვიანტურ სლალომში გამარჯვებას მოსკოველთა გუნდის კაპიტანს, ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატს გ. კუზნეცოვს უწინასწარმეტყველებდნენ (იგი მონაწილეთა შორის ერთადერთი სპორტის ოსტატი იყო).

ვარაუდი არ გამართლდა. ტრასა ყველაზე უკეთ თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დოცენტმა გ. ცაგარელმა გაიარა. კუზნეცოვი მეორე იყო. მესამე შედეგი ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის უმცროს მეცნიერ-მუშაკს მარინა პოპოვას (ქალბი და ვაჟები ერთად ასპარეზობდნენ).

მეორე დღეს მოთხილამურენი სპეციალურ სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სტარტზე ვერ გამოვიდა ცაგარელი და კუზნეცოვმა ადვილად მიაღწია წარმატებას. მომდევნო სპარბო

ადგილებზე მისი თანაგუნდელეები — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ო. სავუნი და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. კლიშკო გავიდნენ. მასპინძელთაგან საუკეთესო იყო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დოცენტი ბ. დოჭვირი. მან IV ადგილი დაიკავა.

ჩვენს გუნდს ჩასათვლელი ქულები მისცეს, აგრეთვე, ფოტოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რ. მიშვილაძემ, ფიზიკის ფაკულტეტის უფროსმა ინჟინერმა თ. ბურჭულაძემ, ფიზიკის ფაკულტეტის უმცროსმა მეცნიერ-მუშაკმა ი. პაპაევამ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. მარამა, ფიზიკის ფაკულტეტის ასისტენტმა ვ. სვიმონიშვილმა.

ორდღიანი საინტერესო ბრძოლა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით. თასი მათ გადაეცათ. ორი უნივერსიტეტის მოთხილამურეთა სამატრიონი შეხვედრა პროფესორთაგან გამართება ბაკურიანში, თებერვლის შუა რიცხვებში.

ლ. ხეშერანი, თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კათედრის მასწავლებელი.

წააღებთი სსრ კავშირის ჩემპიონატი

ერთი ცდუნების ფასი

დასასრული

თავდასხმელისთვის ცდუნება ერთობ დიდი იყო და მოხდა ისე, რომ გამარჯვებული მეკარე გამოვიდა. ამ უკანასკნელმა ბურთი თბილისელთა კარის შორიანხლოს მყოფ თანაგუნდელ იანკოვს გადასცა, იმანაც აღარ დააყოვნა. ანგარიში გაათანაბრა — 8:8. ამ დროს მატჩის ბოლომდე ერთადერთი წამილა იყო დარჩენილი...

ის გულშემატკივრები, რომლებიც თბილისელთა და მოსკოველთა თამაშს ადევნებდნენ თვალს, ხოლო შემდეგ მის შედეგზე ბტობდნენ, უთუოდ გაიხსენებდნენ დინამოელთა მეკარის ერთ დასანან დახვეწილობასაც, რომელიც გუნდს გოლის ფასად დაუჭადა. როცა ანგარიში იყო 6:5 თბილისელთა სასარგებლოდ, დინამოელთა მეკარე ტუკვაძე წინ

გამოვიდა ორი თავდასხმელის პირისპირა. ტუკვაძეს არ გაუჭირდებოდა ბურთის დაუფლება, მაგრამ მსაჯის რაღაც მომხრობამ დააბნინა და გაჩერდა. მოსკოველმა ფომენკომ კი აღარ დააყოვნა ცარიელ კარში ბურთის გატანა. სხვა შემთხვევაში, ვფიქრობთ, თბილისელთა კარის დარაჯს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. რამდენჯერმე ძალზე ძლიერად და მოულოდნელად ნატყორცნი ბურთი მოიგვრია.

საერთოდ, ამ მატჩში სტუმრები ერთთავად მდევრების როლში იყვნენ, მაგრამ თბილისელთა ერთი ბურთით დაწინაურებას ნიადაგ ანგარიშის გათანაბრება მოჰყვებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ სტუმრები ხშირად ამკარად უხეშობდნენ, რისთვისაც სამჯერ პენალტით დაჯარიმდნენ. ისეღიძემ სამივეჯერ შესანიშნავად გამოიყენა მეტოქეთა კარის ალები შე-

საძლებლობა. აქვე უნდა გავიხსენოთ ისეღიძის მეორე პირველ პერიოდში მეტოქეთა კარის დალაშქვრაც. მან მეკარისკენ ზურგით მყოფმა, ხელუკლმა ტყორცნა ბურთი.

თბილისელთაგან დანარჩენი ბურთები (2-2) ტურტანძემ და რურუამ გაიტანეს, ხოლო სტუმართაგან გრიგორიევმა, პილიანმა, ფომენკომ, სმაგინმა (1-1), კომოვმა და იანკოვმა (2-2).



სურათზე: თბილისის დინამოელებს შეხვედრაზე რჩევა-დარიგებას აძლევენ გუნდის მწვრთნელები ვ. ხანაძე (მარცხნივ) და ჯ. წიკლაური; კიევის „დინამოსა“ და კწუ-ს შეხვედრის მომენტი.

მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება ამგვარი სტატისტიკაც. ორივე გუნდს ოთხჯერ ჰქონდა რიცხობრივი უპირატელობა. მოსკოველებმა სამჯერ შეძლეს მისი გამოყენება, ხოლო თბილისელებმა ორჯერ. ყოველი პერიოდის დასაწყისში კი ბურთი მასპინძელთა კუთვნილება გახდა — ყველაზე სწრაფი ცურვით სამჯერ რურუამ გამოიჩინა თავი, ერთხელ კი ეს სამჯე ზუმბულიძეს მიახდეს და მანაც იყოჩაღა.

ა. გურასხვილი.

მთავარი ბრძოლები წინაა

„დინამო“ (თბილისი) — „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) 7:9.

„დინამო“: გიორგაძე, კურტანიძე, ზუმბულიძე, რურუა, იხელიძე, დოლიძე, კუტივაძე. მათ გარდა თამაშობდნენ — ხეცურიანი, ვახარაია და კოლუაშვილი.

„უნივერსიტეტი“: კრილოვი, კლეიშენოვი, კრუპინი, რისმანი, ნ. მშვენიერაძე, ბურკოვი, ზელენიჩივი. მათ გარდა თამაშობდნენ — ბრეუზი, მოროზოვი და როსლიაკოვი.

მსაჯები: ე. შილოვი (ლვოვი) და რ. ესაიანი (ერევანი).

სარბილზე ნებისმიერი გუნდი იოლი ბრძოლის იმედით არ უნდა გამოვიდეს. ხშირად აუტისაიდრიც კი ფხას გამოიჩინეს ხოლო მისიხანებ მეტოქეებთან შეხვედრაში. ეს ძველთაძველ ჰემარიტებაა. კონკრეტულ შემთხვევაში, სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონი, მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი ყველა კოლექტივისთვის ერთობრად საშიშია — პირველ ტურში მოულოდნელად მათ ხომ ბევრი დაკარგეს და ხუთი თამაშიდან მხოლოდ სამი ქულა მოაგროვეს. ახლა კი მოსკოველებმა იმ დანაკარგის ანაზღაურებისთვის იბრძვიან.

შემოთქმული თბილისში მოსვლელთა გამართულმა პირველმა თამაშმა დადასტურა, როცა მათ ტაშკენტის „მეხნატი“ დამაჯერებლად დაჯანეს — 11:7. ბუნებრივია, ეს ყველაფერი თბილისელებმა კარგად იცოდნენ და არც იოლი ბრძოლისა თუ საკუთარი კედლების იმედი ჰქონდათ.

საბოლოოდ ერთობ დაძაბულ პაექრობაში დამარცხდნენ.

წყალბურთში ფრიალ დიდი მნიშვნელობა აქვს პერიოდების დასაწყისში ბურთის ხელში ჩაგდებას. ეს „ვიწრო“ პროფესია ხევის გუნდში, როგორც ყველაზე სწრაფ მოცურავეს, რურუას აქვს მინდობილი. უნივერსიტეტელებთან შეხვედრაში რურუამ ოთხივეჯერ მიაღწია მიზანს. თბილისელებმა ოთხივეჯერ პირველებმა შეიყვანეს ბურთი თამაშში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დიდი კოზირი ვერც ერთხელ ვერ გამოიყენეს მეტოქეთა კარის დასალაშქრავად.

ამ მატჩში აშკარად გამოჩნდა თბილისელთა „აქტიუტის ქუსლი“ — რიცხობრივი უმცირესობისას დაცვიანი თამაში. 9 გატანილი ბურთიდან ასეთი ვითარებაში მოსკოველებმა 7-ჯერ შეძლეს მასპინძელთა კარის დალაშქვრა და მხოლოდ 1 შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. თბილისელებმა კი ექვსი ასეთი შესაძლებლობიდან ოთხჯერ მიაღწიეს მიზანს. აქვე უნდა ითქვას, რომ მასპინძლებმა რიცხობრივი უმცირესობით თამაშისას ერთხელ ძალზე კარგად ითამაშეს — არა თუ უზრუნველყვეს საკუთარი კარის უხედათობა, არამედ მეტოქის კარში ბურთიც გაიტანეს.

სხვათა შორის, ამ მხრივ საგადასაზრებელია, რომლებიც რიცხობრივი უმცირესობისას თავს დიდებულად იცავენ და მეტოქის კარშიც გააქვთ ბურთები. ასე მოხ-

და, მაგალითად, ვოლგოგრადის „სპარტაკთან“ (2-ჯერ) და კიევის „დინამოსთან“ (3-ჯერ) შეხვედრაში.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისელები მეტოქეზე უფრო ხშირად ტყორცნიდნენ კარში, მაგრამ იშვიათად აღწევდნენ მიზანს. ამასთან, მოსკოველთა კარი თუ მხოლოდ სამმა თბილისელმა (ისელიძე-4, დოლიძე-2, კუტივაძე-1) აიღო, უნივერსიტეტელთაგან ამ მხრივ ორჯერ მეტმა მეტოქემ გამოიჩინა თავი (ბურკოვი, მოროზოვი, ბრეუზი, მშვენიერაძე — 1-1, კრუპინი — 2, რისმანი — 3).

იმედია, თბილისელებს ეს მარცხი გაულს არ გაუტეხს. მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა. ვფიქრობთ, დარჩენილ შეხვედრებში უფრო გააზრებულად ითამაშებენ და თავიანთ შესაძლებლობებს ბოლომდე გამოავლენენ.


ბ. რაზველიშვილი.

ხუთშაბათს გამართული დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 5:5, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ლუოვი) 10:5, ფისკ (მინსკი) — „მოსკვინი“ (მოსკოვი) 6:5, „მეხნატი“ (ტაშკენტი) — სსფ ცსკ 3:10, „დინამო“ (კიევი) — კწუ (ბაქო) 6:9.

გუშინ, დილის შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „მოსკვინი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 3:2, „უნივერსიტეტი“ — ფისკ 6:3, კწუ — „მეხნატი“ 7:7.

სურათზე: თბილისის დინამოელებს შეხვედრაზე რჩევა-დარიგებას აძლევენ გუნდის მწვრთნელები ვ. ხანაძე (მარცხნივ) და ჯ. წიკლაური; კიევის „დინამოსა“ და კწუ-ს შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



გუშინ საღამოს გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (კიევი) 7:5, „დინამო“ (ლუოვი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 10:5. თბილისის „დინამოსა“ და ცსკ ვმწ-ს შეხვედრა არ შედგა. ეს მატჩი დღეს, 1 საათზე გაიმართება.

ათი საუკეთესო

სსრ კავშირის წყალბურთის ფედერაციამ შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცა 10 საუკეთესო არბიტრის სია. ესენი არიან: ვ. რაშმაჯანი (მოსკოვი), ნ. ჩაჩაია (თბილისი), ქ. ჭიჭინაძე (მოსკოვი), ე. შილოვი (ლუოვი), ვ. რეჩინიკი (ოდესა), ვ. ვეშელინი (მუჟაიევი), ა. კუზნეცოვი (ჩელიაბინსკი), ი. ჩირუხასი (კაუნასი), რ. ესაიანი (ერევანი) და ა. ტინონოვი (მოსკოვი).

განოჩაჟა

პალრაკი ლიდაროზს საზოგადოებრივი

ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში მიმდინარეობს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც 14 მოჭარავე მონაწილემ დასრულა. სტარტზე გამოვიდნენ ცნობილი დიდოსტატებიც ე. მაილისი (ინგლისი), უ. ბრაუნსი, რ. ბირნი (ორივე — აშშ), ე. ტორი (ფილიპინები), ე. ვასილკოვი (სსრ კავშირი) და სხვ. საბჭოთა ქვეყანის წარმომადგენს, აგრეთვე, მინსკელი საერთაშორისო ოსტატი ვ. კუპრეიჩივი.

I ტურში კუპრეიჩივმა მოუგო ბირნს, ვასილკოვი დაუზავდა ი. არნასონს (ისლანდია). II ტურში კუპრეიჩივმა ყიმიტ დამთავრდა შეხვედრა გ. შუსლერთან (შვეიცია), ვასილკოვმა — გ. სიგურიუსონთან (ისლანდია). III ტურში ვასილკოვი დამარცხდა მაილისთან, კუპრეიჩივი დაუზავდა არნასონს. IV ტურში კუპრეიჩივმა გაიმარჯვა სიგურიუსონთან, ვასილკოვმა ქულა გაიყო მ. პეტროროსონთან (ისლანდია). V ტურში კუპრეიჩივმა სძლია მაილისს, ხოლო ვასილკოვი დაუზავდა ხ. ოლაფსონს (ისლანდია).

5 ტურის შემდეგ ლიდერობს ვ. კუპრეიჩივი — 4 ქულა.

საზოგადოებრივი განაწილდა

სამხრეთში, 28 თებერვლი (ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა საქართველოს მოჭარავე ქალთა პირველობის ნახევარფინალი, რომელშიც 16 მონაწილე იყო.

I ადგილი დაიკავა მ. ფაბიროვა (ქუთაისი) — 14 ქულა, II — გ. ალიხანაშვილი (თბილისი) — 11,5, III — ი. კურცხლოვა (ქუთაისი) — 11. სამივე მოჭარავემ ფინალის (წულუკიძე, 6-27 მინუტი) საგზური მოაბოვა.

შემდეგ მოიღია: მ. ჩაჩაია (ცხაკაია), ი. ამბროლაძე (ქუთაისი) — 10,5-10,5, გ. ლაგვილაძე (ქუთაისი) — 10, ი. სალოაძე (სამტრედია) — 9, ქ. არახაია (ოჩამჩირე), ნ. გოგია (ცხაკაია) — 8,5-8,5, ლ. შანიძე (ქუთაისი), ა. ეფრემიძე (გორი) — 8-8, მ. გოგიშვილი (სამტრედია) — 5,5, მ. დიდბელი (გორი) — 4, ხ. ხეველეთი (სამტრედია) — 3, ვ. ბოსელიძე (გორი) — 1,5, მ. დობაია (ცაგერი) — 0.

ტურნირის საზეიმო დახურვაზე გამარჯვებული მოჭარავეები დაკვიდრდნენ სივლეზი და სამტრედიის ფიზკულტურული ორგანიზაციების საჩუქრებით.

ა. მაჩიტია, ნახევარფინალის მთავარი მსაჯი, რეგულაციური კატეგორიის მსაჯი.



სსრკ-ის სპორტული პარტი

ბავშვების პირველი ფეხბურთის სკოლა დაიხსნა. სსრკ-ის სპორტული პარტი...

1-10. ფეხბურთი. სსრკ-ის სპორტული პარტი...

1-4. ბაილარებთან და კანოე-ბოტინგის სპორტის სკოლა...

1-5. სამოთხე-საბავშვო სპორტი. 1964-65 და 1966-67 წლებში...

1-6. მშვიდობის სკოლა. ქალთა დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი...

1-8. აფროსინოპოლის სსრკ-ის სპორტული პარტი...

5-8. სპორტული ტანვარჯიში. მრავალწლიანი სპორტული სსრკ-ის...

7-9. საგზაო-კავშირის ველო-ბოლო. საკავშირო ფეხბურთის კრიტერიუმის სოხუმი.

9-11. ფეხბურთის სკოლა. ქაბულში და გოგონების რესპუბლიკური პირველობა...

10-17. ტყვიის სროლა. საქართველოს ჩემპიონატის (არაოლიმპიური)...

11-13. ბატუტზე ტოპი. 1962-63 წლებში დაბადებული რესპუბლიკური პირველობა...

13-16. კლასიკური კიდაობა. ი. პოდლუნის სსრკ-ის სპორტული პარტი...

13-17. ქართული კიდაობა. საქართველოს სსრკ-ის ჩემპიონატი. I ზონა. თელავი.

14-16. საგზაო-კავშირის ველო-ბოლო. საკავშირო ჩემპიონატი. კრიტერიუმის I ტური. სოხუმი.

14-16. აკადემიური ნიჩბოსნობა. საკავშირო ფეხბურთის „შავი ზღვის რეგატა“. ფოთი.

17-21. ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. აღმოსავლეთის ზონა (კაქეთი). გურჯაანი.

20-24. ქართული კიდაობა. საქართველოს სსრკ-ის ჩემპიონატი. II ზონა. რუსთავი.

21-23. საგზაო-კავშირის ველო-ბოლო. საკავშირო ჩემპიონატი. კრიტერიუმის II ტური. გულაუთა.

22-24. აკადემიური ნიჩბოსნობა. სამამულე ომში გამარჯვების 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილი...

24-29. სპორტული ტანვარჯიში. მრავალწლიანი სპორტული სსრკ-ის ჩემპიონატის II ეტაპი. თბილისი.

25-29. ბაილარებთან და კანოე-ბოტინგის სპორტის სკოლა. საკავშირო პირველობა. გალი.

29-30. მშვიდობის სკოლა. რესპუბლიკური ფეხბურთის სსრკ-ის ფეხბურთის „პრავდის“ პრიზებზე. ბათუმი.

31 მარტი — 4 აპრილი. ფეხბურთი. საქართველოს სსრკ-ის პირველობა. დასავლეთის ზონა (კაქეთი). სამტრედიო.

31 მარტი — 4 აპრილი. ფეხბურთი. საქართველოს სსრკ-ის პირველობა. დასავლეთის ზონა (კაქეთი). სამტრედიო.

რედაქტორი ბ. ბასილაძე.

ვეფხისტყაოსნის VII ჯგუფი

ბრძანებით გაიმართა ვეფხისტყაოსნის VII ჯგუფის მატჩი. მატჩი გაიმართა ვეფხისტყაოსნის VII ჯგუფის მატჩი...



მოკლედ

პარიზი. აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი საფრანგეთისა და საბერძნეთის ნაკრებებს შორის...

ბრიუსელი. ბელგიელმა ფეხბურთელებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგეს...

იტალიის ერთ-ერთმა უძლიერესმა და ცნობილმა კლუბმა „ტურინმა“ ახლახან გაათავისუფლა მწვერთელი ჯიჯი რადიჩე...

სსრკ-ის სპორტული პარტი

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთის სსრკ-ის სპორტული პარტის მატჩი...

I ჯგუფი. სოკი. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:0; „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 3:0; „სუბანინი“ (კრასნოდარი) — „სოვეტოვი“ (კუიბისევი) 2:0.

III ჯგუფი. უფგოროდი. „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „დინამო“ (კიევი) 1:3; „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0; „კარპატი“ (ლუბლინი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 2:1.

V ჯგუფი. ბაქო. „დინამო“ (მინსკი) — „თურგი“ (გროზნო) 6:0; „ნეფთჩი“ (ბაქო) — „დინამო“ (ლენინგრადი) 3:0; „ქალგირისი“ (ვილნიუსი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:1.

VI ჯგუფი. ერევანი. „არარატი“ (ერევანი) — „სიკრა“ (სმოლენსკი) 1:0; „ტორპედო“ (მოსკოვი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:1; „მინიკი“ (იაროსლავლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:3.

VII ჯგუფი. დუშანბე. ცსკა — „გურია“ (ლანჩხუთი) 5:0; ასკ (როსტოვი) — „კოლოზნი“ (აშხაბადი) 2:1; „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „პამირი“ (დუშანბე) 0:1.

VIII ჯგუფი. ფერგანა. „ტრაქტორი“ (პავლოდარი) — „ბუსტონი“ (ჯიზაკი) 1:1; „დინამო“ (სტავროპოლი) — „ალგა“ (ფრუნზე) 2:0.

II ჯგუფი. სამარყანდი. II ტური. „შახტორი“ (დონეცი) — „ზსრია“ (ვოროშილოვგრადი) 1:0; „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:2; „სპარტაკი“ (ხალჩიკი) — „სუზბასი“ (კემეროვი) 2:0.

და II ლიგაში, მიიღო I ლიგის წარმომადგენელი — ორჯონიკიძის „სპარტაკი“.

რუსთაველმა ფეხბურთელებმა საინტერესო ბრძოლაში მოიპოვეს გამარჯვება — 2:0. ბურთები გაიტანეს ავაქიანმა და კოლბანაშვილმა.

და II ლიგაში, მიიღო I ლიგის წარმომადგენელი — ორჯონიკიძის „სპარტაკი“.

რუსთაველმა ფეხბურთელებმა საინტერესო ბრძოლაში მოიპოვეს გამარჯვება — 2:0. ბურთები გაიტანეს ავაქიანმა და კოლბანაშვილმა.

და II ლიგაში, მიიღო I ლიგის წარმომადგენელი — ორჯონიკიძის „სპარტაკი“.

რუსთაველმა ფეხბურთელებმა საინტერესო ბრძოლაში მოიპოვეს გამარჯვება — 2:0. ბურთები გაიტანეს ავაქიანმა და კოლბანაშვილმა.

და II ლიგაში, მიიღო I ლიგის წარმომადგენელი — ორჯონიკიძის „სპარტაკი“.

რუსთაველმა ფეხბურთელებმა საინტერესო ბრძოლაში მოიპოვეს გამარჯვება — 2:0. ბურთები გაიტანეს ავაქიანმა და კოლბანაშვილმა.

და II ლიგაში, მიიღო I ლიგის წარმომადგენელი — ორჯონიკიძის „სპარტაკი“.

რუსთაველმა ფეხბურთელებმა საინტერესო ბრძოლაში მოიპოვეს გამარჯვება — 2:0. ბურთები გაიტანეს ავაქიანმა და კოლბანაშვილმა.

და II ლიგაში, მიიღო I ლიგის წარმომადგენელი — ორჯონიკიძის „სპარტაკი“.

რუსთაველმა ფეხბურთელებმა საინტერესო ბრძოლაში მოიპოვეს გამარჯვება — 2:0. ბურთები გაიტანეს ავაქიანმა და კოლბანაშვილმა.

და II ლიგაში, მიიღო I ლიგის წარმომადგენელი — ორჯონიკიძის „სპარტაკი“.

„მეგალურის“ გამარჯვება

28 თებერვალს რუსთაველი გამართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა „მეტალურგმა“, რომელიც ახლახან გადავი-



ლიკა-პლანდის ზამთრის ოლიმპიადის მოზღვავეებულმა მასალებმა რამდენადმე გადაგადებინა ჩვენი ვახეთის ფურცლებზე სპორტის მცოდნეთა კონკურსის I ტურის შედეგების გამოქვეყნება, რომელსაც დღეს გთავაზობთ.

ისევე როგორც შარშან, „ლელო“ კონკურსმა ამჯერადაც მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამაზე მეტყველებს მრავალი წერილი, რომელიც ერთ თვის განმავლობაში ჩვენს სარედაქციო ფოსტას მოჰქონდა. პასუხები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოვიდა — გვერდნენ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები.

მხაწილეთა უმრავლესობამ სწორად უპასუხა მე-8 და მე-9 კითხვებს, ხოლო მე-5 კითხვა მკითხველთა დახლოებით ნახევარმა ვერ ამოხსნა. რაც შეეხება მე-10 კითხვას (ფოტოსურათი), მხოლოდ ათობედ კაცის პასუხი იყო სწორი. განსაკუთრებით კარგად მომზადებული გამოდგა თბილისელი ე. ვასილიევი. მან ათივე კითხვაზე გვიპასუხა და ხელთ იგდო ლიდერობა. ათიდან თითო კითხვას ვერ უპასუხეს: გ. კაკაბერიძემ, მ. ჩიკაშვილმა, ზ. გურგენიძემ, მ. ომანაშვილმა, ჯ. ფირცხალაიშვილმა, ა. იორაშვილმა, გ. ახრახანიძემ, ი. კაციტაძემ, ზ. ჯარაჯიამ. 8-8 ქულა მოაგროვეს გ. ახალაძემ, ზ. თედორაძემ, ი. გაბრიელოვმა, ტ. ყაბაიშვილმა, დ. საფარიძემ.

ბთავაჯოშვილის I ტურის პასუხები:

1. ზამთრის ოლიმპიური თამაშებზე ოლიმპიური ფიცის წარმოთქმის: 1924 წ. — სამთომთხილამურე მ. მანდრიონმა (საფრანგეთი), 1928 წ. — სამთომთხილამურე მ. აილენბენცმა (შვეიცარია), 1932 წ. — მოციგურავემ ჯ. შიმ (აშშ), 1936 წ. — სამთომთხილამურე გ. ბოგენრმა (გერმანია), 1948 წ. — ჰოკეისტმარ. ტორიანიმ (შვეიცარია), 1952 წ. — მოთხილამურე ტ. ფალკანერმა (ნორვეგია), 1956 წ. — სამთომთხილამურე მ. კენალ-მინუტომ (იტალია), 1960 წ. — ფიგურულმა მოციგურავემ კ. პეისმა (აშშ), 1964 წ. — მოციგურავემ პ. ასტემ (ავსტრია), 1969 წ. — სამთომთხილამურე ლ. ლიაკრუამ (საფრანგეთი), 1972 წ. — მოციგურავემ კ. სუტუქიმ (იაპონია), 1976 წ. — ბობსლეისტმა ვ. დელუ-კარტმა (ავსტრია).

ბავშვთა „ლელოს“ სპორტის მცოდნეთა კონკურსი

ნგეთი), 1928 წ. — სამთომთხილამურე მ. აილენბენცმა (შვეიცარია), 1932 წ. — მოციგურავემ ჯ. შიმ (აშშ), 1936 წ. — სამთომთხილამურე გ. ბოგენრმა (გერმანია), 1948 წ. — ჰოკეისტმარ. ტორიანიმ (შვეიცარია), 1952 წ. — მოთხილამურე ტ. ფალკანერმა (ნორვეგია), 1956 წ. — სამთომთხილამურე მ. კენალ-მინუტომ (იტალია), 1960 წ. — ფიგურულმა მოციგურავემ კ. პეისმა (აშშ), 1964 წ. — მოციგურავემ პ. ასტემ (ავსტრია), 1969 წ. — სამთომთხილამურე ლ. ლიაკრუამ (საფრანგეთი), 1972 წ. — მოციგურავემ კ. სუტუქიმ (იაპონია), 1976 წ. — ბობსლეისტმა ვ. დელუ-კარტმა (ავსტრია).

2. ლა-მანშის სრუტე (გრიწიდან დღევანდელ ქალაქამდე) პირველმა ამერიკელმა პერტრუდა შაობდენმა ანგარიშით 5:4 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

„ოლიმპიური დანთუნია“

ედერლემ გადაცურა 1926 წლის 6 აგვისტოს, რასაც 14 საათი და 32 წუთი მოჰანდობა.

3. კიდაობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ორთაბრძოლა გაიმართა 1912 წელს (27 ივლისს) ოლიმპიურ თამაშებზე სტოკჰოლმში. მარტინ კლეინისა (რუსეთი) და ალფრედ ასიკანენის (ფინეთი) შეხვედრა, რომელშიც კლეინმა (საშუალო წონა) გაიმარჯვა, 10 საათსა და 30 წუთს გაგრძელდა.

4. საქართველოს პირველი პირველობაზე კალათბურთის (ქუთაისი, 1927 წელი) გამარჯვების თბილისის „სინთოსის“ ვაჟთა და ქალთა გუნდებმა. აი, მათი შემადგენლობა: მ. ცხვედაძე, გ. სავარულიძე, ბ. გერასიმოვი, ა. პელოძე, მ. დავიდიანი, ა. ზავისნიძე, კ. გალუსტოვი, გ. რიბაჩენკო; თ. ქელოძე; ტ. დიაჩენკო, ზ. სუბარუნი, ტ. კონსტანტინოვი, მ. ვინაროვი, ვ. კორიაინა, გ. ზაქარევი.

5. პირველი საერთაშორისო მატჩი თბილისში ჩატარდა ფეხბურთში 1912 წლის 26 მარტს „სოკოლის“ პლაცზე, რომელიც ელიზაბეტინსკაის ქუჩაზე მდებარეობდა. ერთმანეთს შეხვედნენ ტანვარჯიშული საზოგადოების „სოკოლის“ გუნდი და ინგლისელი ფეხბურთელები, რომლებიც ბაქოს ნავთის საწარმოებში მუ-

შაობდნენ. ანგარიშით 5:4 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

6. 1906 წელს რიგგარეშე ოლიმპიადზე ათენში მძლეოსანმა ვილი იარვინენმა გაიმარჯვა ბადროს ტყორცნაში. შემდგომში მისმა ორმა ვაჟმა, რომლებიც აგრეთვე მძლეოსნები იყვნენ, წარმატებით იასპარეზეს ოლიმპიადებზე: ახილეს იარვინენმა 1928 და 1932 წლებს თამაშებზე ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა ათენში, ხოლო უმცროსმა — მარტი იარვინენმა 1932 წლის ოლიმპიადებზე ოქროს მედალი მოიპოვა შუბის ტყორცნაში. მის პატრონად ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე აღმართულია სვეტი, რომლის სიმაღლე 72,71 მეტრს უდრის, ანუ მის მიერ ნაჩვენებ შედეგს, რომელიც ოლიმპიური რეკორდი იყო.

„ოლიმპიური დანთუნია“

7. უჩვეულოა უნგრელი მსროლელის კარო ტაკაის ბიოგრაფია, რომელმაც 1948 და 1952 წლებში ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიპოვა პისტოლტით სროლაში. 1936 წელს უბედური შემთხვევის შედეგად კ. ტაკაიმ მარჯვენა ხელი დაკარგა. მამაცმა სპორტსმენმა ვარჯიში სროლაში მარცხენა ხელით დაიწყო და ოლიმპიადის ორ ოქროს მედალთან ერთად მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა.

8. მეღებურის 1956 წლის XVI ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა ცხენოსნობაში ნაცვლად ავსტრალიისა... ევროპაში (სტოკჰოლმი) გაიმართა (11-17 ივნისს). საქმე ისაა, რომ ავსტრალიის კანონების თანახმად ამ ქვეყანაში ცხოველების შეყვანა მხოლოდ ხანგრძლივი, 6-თვიანი კარანტინის შემდეგ შეიძლება.

9. მსოფლიოში პირველი რადიორეპორტაჟი ფეხბურთში გაიმართა 1926 წლის ოქტომბერში. ეს იყო მიტროპის თასის გათამაშების მატჩი ბუდაპეშტის მტკ-სა და პრატის „სლავის“ შორის. რეპორტაჟი მიჰყავდა ცნობილ ჩეხოსლოვაკელ ჟურნალისტ იოჟეფ ლაუფერს.

10. სურათზე გამოხატული ველისიდეისტია თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი, საერთაშორისო ოლიმპიუ-

რი კომიტეტის პირველი პრეზიდენტი პიერ დე კუბერტენი.

აი, სპორტის მცოდნეთა კონკურსის მორიგი 10 კითხვა. მ.შ. ასე:

II ტური

1. ხად და როდის შედგა საქართველოს სპორტსმენთა პირველი გამგზავრება სამშობლოს ფარგლებს გარეთ საერთაშორისო შეხვედრის ჩასატარებლად?

2. ფეხბურთის მარშის ავტორია კომპოზიტორი მ. ბლანტენი. როდის გაიხმა პირველად ეს მარში, სად?

3. საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება რამდენიმე მოკრივეს ჰქონდა მინიჭებული. დასახელეთ ისინი.

4. ვინ და როდის მოახდინა პირველად მყინვარწყვილიდან... თხილამურებით დაშვება?

5. დაგვისახელეთ ყველაზე დიდი ანგარიში კალათბურთის ისტორიაში. სად და რომელ გუნდებს შორის იქნა ფიქსირებული ეს რეკორდი?

6. როდის მოიპოვეს ქართველმა მოკრივეებმა ქვეყნის გუნდური პირველობა: დასახელეთ გამარჯვებულთა შემადგენლობა.

7. როდის შედგა ჩვენს ქვეყანაში პირველი მატჩის პირველი ტელეტრანსლაცია, ვინ თამაშობდა?

8. სად და ვინ აიღო პირველად 2-მეტრიანი სიმაღლე, როგორი სტილით?

9. დაგვისახელეთ იახტა „ფინის“ ავტორი?

10. ვინ არის ეს მოთხილამურე?

ამ კითხვებზე პასუხები I აპრილამდე უნდა გამოიგზავნოს.

შეგახსენებთ, რომ „ლელოს“ კონკურსში გამარჯვებული სპორტის მოყვარული დაჯილდოვდება ჩვენს რედაქციის მთავარი პირი — „ოლიმპიური დათუნია“. მეორე და მესამე ადგილებზე გასულნი შესაბამისად სპორტულ ალბომსა და თასს მიიღებენ.

